პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 206 (3690) 19 1968 წ. ოქტომბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




## მჯობნის მჯობნი...



ისეთი რამ, რაც სამხტომში მეხიკოში მოხდა, მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. 1962 წლის 9 აგვისტოს ოლშტინში გამართულ შეჯიბრებაში პოლონელმა ი. შმიდტმა 17,04 მ აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მას შემდეგ ამ ზღუდეს უტევდნენ საუკეთესო ოსტატები, მაგრამ 17-მეტრიანი ზღვარის გადალახვა ველარავინ შეძლო. რეკორდთან ჭიდილში თვით შმიდტი მუდამ მარცხდებოდა. ერთადერთი, რითაც მან შემდეგში ისახელა თავი, ტოკიოში ახალი ოლიმპიური რეკორდის (16,85) დამყარება გახლდათ.

და აი მეხიკოში მსოფლიოსა და ოლიმპიურ რეკორდებს უტევდა სამხტომში ყველა მოასპარეზე. უკვე წინასწარ შეჯიბრებაში მოხდა სენსაცია: იტალიელმა ჯ. ჯენტილემ 17,10 მ აჩვენა. ძალას ცდიდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც — ვ. სანეევი, ნ. დუდკინი და ა. ზოლოტარიოვი. ფინალში ზოლოტარიოვი ვერ შევიდა, ვინაიდან წინასწარი შეჯიბრების სამივე ცდაზე უხეიროდ აირეკნა და ტურნირს გამოეთიშა.

ძალიან საინტერესო იყო ფინალი, რომელსაც უნდა გაენაწილებინა მედლები. ჯენტილემ თავისსავე მსოფლიო რეკორდს 12 სანტიმეტრი წაუმატა, მაგრამ მალე მისი მიღწევა გააუქმა სოხუმელმა აგრონომმა ვ. სანეევმა, რომელმაც 17,23 მ აჩვენა. ეს იყო ფინალის მესამე ცდაზე.

მსოფლიოს რეკორდსმენობა დიდხანს ვერც სანეევმა შეინარჩუნა. მისი ადგილი დაიკავა 24 წლის ბრაზილიელმა ნ. პრუდენსიომ, რომლის პირადი რეკორდი მანამდე 15,17 მეტრი იყო. აქ ფინალის მეხუთე ცდაზე პრუდენსიო ძალიან ლამაზად გადახტა და 17,27 მ აჩვენა. ბრაზილიელს ბევრმა გამარჯვებაც მიულოცა, მაგრამ ამ აზრს არ იზიარებდნენ ისინი, ვინც იცოდა, რომ ევროპის თასის ბოლო გათამაშებაში სანეევმა სწორედ კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო შეუძლებელი და პირველობა მოიპოვა. საქართველოს რეკორდსმენს ერთადერთი ბოლო ცდა რჩებოდა. როცა შეიტყო, რომ პრუდენსიომ გაასწრო, მან დუდკინს გადაულაპარაკა: 17,50 მეტრზე გადავხტები და სიტყვაც შეასრულა — 17,39 მ (ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი). მართალია, სოხუმელ მძლეოსანს ზუსტად დათქმული შედეგი არ უჩვენებია, მაგრამ თუ მის მიღწევას მივუმატებთ იმ მანძილს, რაც არეკნის ხაზამდე (დაახლოებით 20 სმ) დააკლდა, გამოდის, რომ სანეევს ფუჭი ტრაბახი არ უყვარებია.

ამრიგად, ბოლო ნახტომით სანეევმა გააუმჯობესა საქართველოს (16,87), სსრ კავშირის (16,92), ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები. ეს იყო მართლაც ფენომენალური შედეგი, რითაც მარტო მაყურებელი კი არა, სანეევის მეტოქენიც ნასიამოვნები დარჩნენ. პრუდენსიომ პირველმა მიულოცა მას ესოდენ დიდი წარმატება.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა შუბისა და უროს სატყორცნ სექტორებზე. გამარჯვებულთა ვინაობა ამ სახეობებშიც ბოლო ცდებმა გაარკვია. შუბის ტყორცნაში ი. ლუსისმა სწორედ ბოლო ტყორცნით აჩვენა 90,10 მ და საგრძნობლად გადააჭარბა ნორვეგიელ ა. დანიელსენის მიერ მელბურნში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს — 85,71. უროს ტყორცნაში კი კლიმს 8 სანტიმეტრით აჯობა მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ჟივოცკიმ — 73,36. ესეც ახალი ოლიმპიური რეკორდია. ძველი მიღწევა ტოკიოს შემდეგ ეკუთვნოდა კლიმს და 69,74 მეტრს უდრიდა.

200 მეტრზე მორბენალმა ვაჟებმა ფენომენალური შედეგები აჩვენეს. ფინალში უძლიერესი იყო ამერიკელი ტ. სმითი — 19,8. ეს შედეგი 0,5 წამით სჯობს ამერიკელ ჰ. კარის მიერ ტოკიოში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს და 0,2 წამით აღემატება მისსავე მსოფლიო მიღწევას, რომელიც შარშანწინ საკრამენტოშია ნაჩვენები. საინტერესო იყო ტურნირი ჭოკით ხტომაში. ძველ ოლიმპიურ რეკორდზე უკეთესი შედეგი 14 სპორტსმენმა აჩვენა, მათ შორის, სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ხარკოველმა ინჟინერმა გ. ბლიზნეცოვმაც, რომელიც ტოკიოში მეხუთე იყო. ამ შეჯიბრებაში ბლიზნეცოვმა 530 სმ გადალახა (ეს 6 სანტიმეტრით სჯობს მისსავე საკავშირო რეკორდს), მაგრამ მხოლოდ VI ადგილზე დარჩა. პირველობა მოიპოვა ამერიკელმა სიგრენმა—540 (მსოფლიო რეკორდი).

110 მეტრზე თარჯრბენში დაემხო 12 წლის წინანდელი ოლიმპიური რეკორდი. ახლა ვ. დავენპორტმა (აშშ) 13,3 აჩვენა, რაც 0,2 წამით სჯობს ლ. კელჰაუნის (აშშ) ძველ მიღწევას. რა თქმა უნდა, ოქროს მედალიც დავენპორტს დარჩა.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა ს. გრიგორიევმა, ი. დელა-როსამ და გ. აგაპოვმა 50 კილომეტრზე სპორტული სიარული კარგად დაიწყეს, მაგრამ 25 კილომეტრის შემდეგ (აქამდე ისინი ლიდერებში ეყვნენ) ველარ გაუძლეს ჟანგბადის ნაკლებობას. აგაპოვი და დელა-როსა იძულებული გახდნენ შეჯიბრება შეეწყვიტათ. გრიგორიევმა კი ძლივს დაიკავა XV ადგილი. გაიმარჯვა კ. ჰანემ (გდრ) — 4:20.13,6.

400 მეტრზე ქალთა შეჯიბრებაში ბესონმა (საფრანგეთი) ავსტრალიელ კატბერტის ოლიმპიური რეკორდი გაიმეორა — 52,0, რამაც მას პირველობა მოუპოვა. გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა ინგლისელი ბოარდი. მესამე იყო სარატოველი სტუდენტი ნ. ბურდა — 52,2. ეს შედეგი 0,6 წამით სჯობს სსრ კავშირის იმ რეკორდს, რომელიც მანვე აქ ნახევარფინალში დაამყარა.

მძლეოსნობა ოლიმპიადაზე ჯერჯერობით ერთადერთი სახეობაა, სადაც უხვად მყარდება ეროვნული, ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები.

ძალოსანთა ასპარეზობაში სსრ კავშირის სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ. ქვესაშუალო წონაში კურენცოვმა აკვრაში (187,5) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, სამჭიდში 475 კგ დააგროვა და 20 კილოგრამით ჩამოიტოვა იაპონელი მ. ოუტი. საშუალო წონაში თავი ისახელეს სელიცკიმ და ბელიაევმა. სამჭიდში თვითეულმა 485 კგ დაუგროვდა (მსოფლიო რეკორდის გამეორება), მაგრამ სელიცკი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს მედალიც მას მიეკუთვნა.

ტურნირში ჩაებნენ მოცურავეებიც. ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 3.31,7. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია (ძველი იყო 3.32,6). სსრ კავშირის სპორტსმენებმა 3.34,2 აჩვენეს, ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდები დაამყარეს და II ადგილი დაიკავეს. ქალებმა ამ დღეს 4×100 მ კომბინირებულ ესტაფეტაში ასპარეზობდნენ და აქაც ახალი მსოფლიო რეკორდი იშვა. მისი ავტორია ამერიკის კვარტეტი — 4.28,3.

* * *

სურათზე: ვიქტორ სანეევი ასპარეზობისას.



ვ. კურენცოვი.

## ოლიმპიადის ტაბლო

### მძლეოსნობა

**ჭოკით ხტომა**

1. ბ. სიგრენი (აშშ) — 540 (ოლიმპიური რეკორდი), 2. კ. შიპროვსკი (გფრ) — 540, 3. ვ. ნორდვიგი (გდრ) — 540, 4. ქ. პაპანიკოლაუ (საბერძნეთი) — 535, 5. ჯ. პენელი (აშშ) — 535, 6. გ. ბლიზნეცოვი (სსრ კავშირი) — 530 (სსრ კავშირის რეკორდი).

**შუბის ტყორცნა (ვაჟები)**

1. ი. ლუსისი (სსრ კავშირი) — 90,10 მ (ოლიმპიური რეკორდი), 2. ი. კინუნენი (ფინეთი) — 88,58, 3. გ. კულჩარი (უნგრეთი) — 87,06, 4. ვ. ნიკიჩუკი (პოლონეთი) — 85,70, 5. მ. სტოლე (გფრ) — 84,42, 6. კ-ა. ნილსონი (შვეცია) — 83,48.

**200 მ რბენა (ვაჟები)**

1. ტ. სმითი (აშშ) — 19,8 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები), 2. პ. ნორმანი (ავსტრალია) — 20,0, 3. ჯ. კარლოსი (აშშ) — 20,0, 4. ე. რობერტსი (ტრინიდადი და ტობაგო) — 20,3, 5. რ. ბამბიუკი (საფრანგეთი) — 20,5, 6. ლ. კვესტადი (აშშ) — 20,6.

**3000 მეტრზე წინაღობებით რბენა**

1. ა. ბივოტი (კენია) — 8.51,0, 2. ბ. კოგო (კენია) — 8.51,6, 3. ჯ. იანგი (აშშ) — 8.51,8, 4. კ. ო'ბრაიენი (ავსტრალია) — 8.52,0, 5. ა. მოროზოვი (სსრ კავშირი) — 8.55,8, 6. მ. ჟელევი (ბულგარეთი) — 8.58,4.

**400 მ რბენა (ქალები)**

1. კ. ბესონი (საფრანგეთი) — 52,0 (ოლიმპიური რეკორდის გამეორება), 2. ლ. ბოარდი (ინგლისი) — 52,1, 3. ნ. ბურდა (სსრ კავშირი) — 52,2 (სსრ კავშირის რეკორდი), 4. ჯ. სიმპსონი (აშშ) — 52,2, 5. ა. პენტონი (კუბა) — 52,7, 6. ჯ. სკოტი (აშშ) — 52,7.

**ხუთჭიდი**

1. ი. ბეკერი (გფრ) — 5.098 ქულა, 2. ლ. პროკოპი (ავსტრია) — 4.966, 3. ა. ტოტი-კოვაჩი (უნგრეთი)—4.959, 4. ვ. ტიხომიროვა (სსრ კავშირი) — 4.927, 5. მ. ბორნჰოლდი (გფრ) — 4.890, 6. პ. უინსლოუ (აშშ) — 4.877.

### ფარიკაობა

**რაპირა (ვაჟები)**

1. ი. დრინბა (რუმინეთი), 2. ე. კამუტი (უნგრეთი), 3. დ. რევენიუ, 4. კ. ნოელი, 5. ჟ.-კ. მანიანი (ყველა — საფრანგეთი), 6. მ. ტიუ (რუმინეთი).

### ძალოსნობა

**ქვესაშუალო წონა**

1. ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) — 475 (ოლიმპიური რეკორდი) (152,5+135+187,5—მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი), 2. მ. ოუტი (იაპონია) — 455 (140+140+175), 3. კ. ბაკოში (უნგრეთი) — 440 (137,5+132,5+175), 4. რ. ნიპი (აშშ) — 437,5, 5. ჩუნ ლი (სამხრეთ კორეა) — 437,5, 6. ვ. დიტრიხი (გდრ) — 435.



ი. ლუსისი.

# თბილისის უნივერს...

# იუბილარის ს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექვსი დღით ადრე სამამულო ომის დაწყებამდე

1940 წელს თბილისის უნივერსიტეტი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტმა. შედეგები 1941 წლის 20 ნოემბერს უნდა შეჯამებულიყო. შეჯიბრებაში ფიზკულტურელებიც ჩაებნენ.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მაშინდელი გამგის, ქართული სპორტის ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ვერულაშვილის პირად არქივში შემონახულია უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შედგენილი ანგარიში სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ანგარიშიდან კარგად ჩანს ის დიდი წარმატება, რაც უნივერსიტეტის ფიზკულტურელებმა მოიპოვეს კიევის უნივერსიტეტის ფიზკულტურელებთან ამ მეგობრულ პაექრობაში. ანგარიში შედგენილია 6 დღით ადრე ომის დაწყებამდე — 1941 წლის 15 ივნისს.

გთავაზობთ ზოგიერთ ცნობას ამ ანგარიშიდან:

1940-41 სასწავლო წელს უნივერსიტეტში მუშაობდა 18 სექცია, რომლებშიც გაერთიანებული იყო 896 სტუდენტი. სოციალისტური ვალდებულებით, 20 ნოემბრისთვის უნდა მომზადებულიყო 600 საკავშირო თანრიგოსანი. 15 ივნისისთვის მომზადებული იყო 540 სპორტის ოსტატი, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თანრიგების სპორტსმენი, გეგმით გათვალისწინებული 720-დან „მშთ" პირველი საფეხურის 400 ნიშნოსანი.

უნივერსიტეტი შეფობას უწევდა თბილისის პირველ სახელოსნო სასწავლებელს, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცა ტანვარჯიშის იარაღების მთლიანი კომპლექტი, საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდა თბილისის მე-2, მე-15 და 58-ე საშუალო სკოლების კალათბურთელებსა და ფრენბურთელებს.

1940-41 სასწავლო წელს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა გამართეს ბევრი საქალაქთაშორისო ასპარეზობა, მონაწილეობა მიიღეს საკავშირო, რესპუბლიკურ და საქალაქო შეჯიბრებებში.

ასე იყო 15 ივნისისთვის, მაგრამ ექვსი დღის შემდეგ დაწყებულმა ომმა დაარღვია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრება და, როგორც ყველა საბჭოთა ახალგაზრდამ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც სპორტული ფორმის ნაცვლად ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვეს.

## ციფრები და ფაქტები

1919 წელს სტუდენტთა ყოფილ სასადილოში (ახლანდელი ოპტიკის მაღაზია ლენინის მოედანზე) უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი ჩატარდა. პირველი ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა ვ. ერისთავს (ამჟამად ჟურნალისტი და მთარგმნელი). II ადგილი მოიპოვა ა. გერბსტმანმა (ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ეტიუდისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი).

●

1923 წლის აგვისტოში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფმა გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოაწყო მასობრივი ლაშქრობა მყინვარწვერზე. ამით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ალპინიზმს.

●

1923 წელს თბილისის ქალთა მე-3 სასწავლებლის შენობაში გაიხსნა ძალოსნობის დარბაზი, სადაც ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის სხვა მოყვარულებთან ერთად წვრთნას გადიოდნენ უნივერსიტეტელი სპორტსმენები გ. კოსტავა, ი. ყანჩელი, დ. ბადრიძე, ს. წკეპლაძე, მ. თიკანაძე, ქ. ზაუტაშვილი და სხვები — შემდგომში ცნობილი სპორტსმენები, სსრ კავშირის, ამიერკავკასიის, საქართველოს რეკორდსმენები.

●

1926 წლიდან უნივერსიტეტის პირველ და მეორე კურსებზე შემოიღეს ფიზკულტურის სწავლება. სალექციო კურსს კითხულობდა თ. ნიკოლაძე. ფიზკულტურის საქმეს უნივერსიტეტში განაგებდა სამხედრო კათედრა. ფიზკულტურელთა აღზრდას ხელმძღვანელობდნენ გ. მახათაძე, დ. მაჭავარიანი, გ. მერკვილაძე, ა. იოსავა, ა. ბაქრაძე, ვ. ვერულაშვილი, გ. ნარიმანიძე და სხვ.

●

1928 წელს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს I საკავშირო სპარტაკიადაში. აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა, მძლეოსანმა გ. შხვაცაბაიამ საკავშირო რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. შემდგომში სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები გახდნენ ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი დ. იოსელიანი და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ა. ქარცივაძე.

●

„24 ნოემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგა ფიზკულტურის დამკვრელთა და მეთაურთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი 8 ნოემბრის ფიზკულტურული აღლუმისადმი, სადაც საუკეთესოდ გამოსვლისთვის სრულიად საქართველოს გარდამავალი დროშა გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს, რომელმაც გვიჩვენა ფიზკულტურული ტექნიკის დაუფლების ბრწყინვალე ნიმუში".

„კომუნისტი", № 272, 27 ნოემბერი, 1933 წ.

●

„1934 წელს ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული მუშაობის კონკურს-დათვალიერება, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის ფიზკულტურელებმა III ადგილი მოიპოვეს. ამ წარმატებისთვის ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის კომისიის თავმჯდომარე დ. ჯავრიშვილი და უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე ვ. ვერულაშვილი".

სსრ კავშირის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს უმაღლესი სასწავლებლების ორგმეთოდური მასალების კრებული. 1934 წელი. გამოშვება № 2.

წლეულს თბილისის უნივერსიტეტი დაარსების 50 წლისთავს [...] სასწაულობს. „ლელოს" დღევანდელ ნომერში მოგითხრობ[...] სი სპორტული ცხოვრების ერთ მონაკვეთზე (1918-1941 წ. წ.).

1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით), დავით აღმაშენებლის [...] ვნის დღეს, თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იქ სამუ[...] მიაშურეს ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა, რომელთაც არც სპო[...] მოღვაწეები ჩამორჩნენ გ. და თ. ნიკოლაძეების, აგრეთვე, გ. ეგნატ[...] ლის ხელმძღვანელობით. ქართული სპორტის ამ მამამთავრებს სხვად[...] დროს გვერდში ამოუდგნენ გ. მერკვილაძე, ა. ბაქრაძე, ა. იოსავა, ა[...] ხათაძე, დ. მაჭავარიანი, ა. ბაქრაძე, გ. რცხილაძე, დ. მიქაბერიძე, [...]

## ციფრები და ფაქტები

„22 თებერვალს ბაკურიანში სტარტი მიეცა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლისთავისადმი მიძღვნილ სათხილამურო გადასვლას.

195 კმ მანძილი მეთხილამურეებმა დაფარეს ოთხ დღეში. გადასვლაში მონაწილეობდნენ: პროფესორი ყიზილბაში, გ. გელაშვილი (გადასვლის ხელმძღვანელი), კ. მუმლაძე, ნ. ბენდუქიძე, უნივერსიტეტის პირველი მეთხილამურე ქალი თ. მენაბდე, კლ. გრძელიშვილი, ო. გიგინეიშვილი, გ. ბასილაძე (გადასვლის უფროსი), ვ. აივაზოვი, რ. მძინარიშვილი და ა. ძიგრაშვილი".

„ფიზკულტურელი", № 19, 3 მარტი, 1938 წ.

## თვალსაჩ[...]

ფეხბურთი სიყვარულით ს[...] ლობდა ჩემს დროს უნი[...] ტეტის სტუდენტთა შორის. არ [...] ვაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ქარ[...] ფეხბურთის განვითარებაში თვალ[...] ნო წვლილი შეიტანეს 30-იანი [...] ბის უნივერსიტეტელმა ფე[...] ბმა.

1925-26 წლებში ა. ჟორდანი[...] ცომაიამ, ვ. და ნ. ამზოკაძეებ[...] ჯაფარიძემ და სხვებმა უნივერს[...] ში პირველი გუნდი ჩამოაყალ[...] ცოტა უფრო გვიან ამ კოლე[...] შეემატნენ ა. ელიავა, რ. კავსაძ[...] ჟორდანია და სხვ.

1932-33 წლებში გუნდი შ[...] ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა [...] ქიდან და რაიონიდან თბილისში [...] წავლებლად ჩამოსული ნიჭიერი [...] გაზრდებით. ესენი იყვნენ: გ. [...] როვი, გ. ბოგატელო, გ. და ი. [...] ბი, ა. ხარბედია, ი. კინწურაშვილ[...] ბერძენიშვილი, კ. გუნია, შ. ა[...] ტ. ჯორჯიკია, გ. ანდღულაძე, კ. [...] ლაძე, ტ. ბერაძე და სხვ. ამ ფეხ[...] თელთა შერჩევასა და აღზრდაში [...] დი ღვაწლი მიუძღვით ქართული [...]



1903 წელს დამთავრდა უნივე[...] სიტეტისთვის გათვალისწინებუ[...] შენობის აგება. უნივერსიტეტ[...] დაარსებამდე იგი დაეთმო თბილ[...] სის სათავადაზნაურო ქართულ გ[...] მნაზიას. გიმნაზიაში, სადაც მოღ[...] წეობდა ქართული ტანვარჯიშ[...] ფუძემდებელი გ. ეგნატაშვილ[...] ხშირად ტარდებოდა საინტერე[...] შეჯიბრება. დააკვირდით სურათ[...] ტანვარჯიშული ასპარეზობის სა[...] ბიელად გამოყოფილი იყო ის ა[...] გილი, სადაც დღეს უნივერსიტეტ[...] კალათბურთის მოედანია.

სურათის ავტორია სახელოვა[...] მეცნიერი და სპორტსმენი, შემ[...] გომში უნივერსიტეტის პროფეს[...] რი გ. ნიკოლაძე.

●



1926 წლის 25 მაისს გაიმარ[...] ქალაქის პირველობა ესტაფეტა[...] შეჯიბრებაში წარმატებით გამოვ[...] დნენ უნივერსიტეტის მძლეოსნებ[...] სურათზე, რომელიც გამარჯვე[...] ბის ნიშნად გადაიღეს და უსახსო[...] რეს მწვრთნელს დ. მიქაბერიძე[...] აღბეჭდილი არიან დ. მიქელაძე, [...] ზეგემკორი, ძმები მაჭავარიანებ[...] ვ. ციციშვილი, ტურაშვილი, ვ. [...] ჭარაშვილი, დოჩანაშვილი, რობა[...] ძე და მწვრთნელი დ. მიქაბერი[...]

●

ტეტის 50 წლისთავი

# რთული სიჭაბუკე

ნიძე, ვ. ვერულაშვილი და ძველი სპორტული გვარდიის სხვა წარმომადგენლები.
გ. ნიკოლაძის თაოსნობით მეორე სართულზე (სადაც, ახლა სააქტო ...ბაზია) დაიწყო სპორტული დარბაზის მოწყობა. ოცი დღის განმავ... ...მაში ზურგით აზიდეს 1500 ტომარა მიწა და აუარებელი ხის მასალა. ... — გიორგი ზურგით ეზიდებოდა მიწით სავსე ტომრებს და ჩვენც ...ს არ ვიზოგავდით. იყო შეჯიბრი, ხუმრობა, სიცილი — იგონებს თბი...ის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ი. მაჭავარიანი.
...დღეს მოგითხრობთ სწორედ იმ ადამიანებზე, ვინც ძალასა და ცოდ... ...არ იშურებდა ქართულ უნივერსიტეტში სპორტის განვითარებისთვის.

## ...ფვლილი

...რთის ვეტერანს, ამჟამად ბათუმში ...ოვრებ ა. ელიავას და გუნდის ...რთნელს ბ. სკოლზნევს.
...1933 წელს ჩვენი გუნდი თბილისის, ...ლო მომდევნო წლებში რამდენიმე... ...ის საქართველოს ჩემპიონი იყო.
...გამარჯვებით უხვმოსავლიანი იყო ...37 წელი. გავიმარჯვეთ საქართვე...ის ჩემპიონატში, მოვიგეთ ამიერ...კავკასიის უძლიერესი გუნდების შესა...ვევო ტურნირი ლენინაკანში, „ნაუ...ს" ცენტრალური საბჭოს პირველო... ...ბოლოს სტუდენტთა საკავშირო ...ირველობაში ვაჯობეთ ყველას.
...ჩვენი ბიჭების ნიჭი შეუმჩნეველი არ ...რჩენიათ საქართველოს უძლიერესი ...უნდებს — „დინამოსა" და „ლოკომოტივის" მწვრთნელებს. თბილი... „დინამოში" გადავიდნენ და შემდ...ომში ცნობილი ფეხბურთელები გა...ნენ გ. გაგუა, ა. ხარბედია, რ. კავსა...ძე, ...ი. კინწურაშვილი, ვ. ბერძენიშვი...ლი, ...ტ. ჯორჯიკია. „ლოკომოტივში" ...გამოიდნენ ვ. ჯიბლაძე, გ. ბოგატე... ...ბ. ეგიაზაროვი და შ. ჯოჯუა.

**ო. ჟორდანია,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ციფრები და ფაქტები

*1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოება „ნაუკას" რიგებში ითვლებოდა 1313 წევრი.*

●

*1941 წლის იანვარს თბილისს ეწვია მოსკოვის საავიაციო სასწავლებლის სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდი დიდოსტატ ვ. სმისლოვის ხელმძღვანელობით. გუნდში შედიოდნენ ოსტატობის კანდიდატი ძაგუროვი, პირველთანრიგოსნები გოლუბოვსკი და გერშკოვიჩი. თბილისის უნივერსიტეტის სახელს იცავდნენ გ. გაჩეჩილაძე, ვ. ქარსელაძე, თომაშვილი და ჩხეიძე. ქართველმა სტუდენტებმა ამ შეხვედრაში საპატიო ფრეს მიაღწიეს. შეხვედრის ანგარიში იყო 2:2. აღსანიშნავია გ. გაჩეჩილაძის წარმატება — ყაიმი დიდოსტატ სმისლოვთან.*

# კალათბურთის დიდი პოპულარიზატორი

ქართული კალათბურთის სახელი უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან. 1926 წელს სწორედ აქ შეიქმნა პირველი სტუდენტური გუნდი, რომელიც შემდგომ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის კალათბურთის პიონერები იყვნენ ვ. ციციშვილი, ლ. ფალავანდიშვილი, გ. შხვაცაბაია, დ. მიქაბერიძე, გ. ჭაფარიძე, გ. იოსებაშვილი, ვ. და რ. მდივნები, ა. წერეთელი, მ. ქებულაძე, შ. ყიასაშვილი, ვ. სოლოღაშვილი, შ. დიასამიძე, გ. და ო. ავალიშვილები და სხვ.

ვაჟებს არც ქალები ჩამორჩნენ. ცნობილმა სპორტსმენებმა მ. ბეჟანიშვილმა, მ. ტყავაძემ, მ. ჩხეიძემ, ე. ლორთქიფანიძემ, ა. ნიკოლაიშვილმა, მ. სულხანიშვილმა, ც. გაბაშვილმა და სხვებმა ქალთა პირველი სტუდენტური გუნდი შექმნეს.

სულ მალე კალათბურთმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის, რომ ყველა ფაკულტეტსა და კურსზე შექმნილი გუნდების რიცხვმა 80-ს მიაღწია.

სტუდენტებმა შაბათობების გამართვა ითავეს — კალათბურთის მოედნები მოაწყვეს. შედეგმაც არ დააყოვნა: უნივერსიტეტს შეეძლო საქალაქო პირველობაში გამოეყვანა რამდენიმე ტოლფასოვანი გუნდი. ეს გუნდები მონაწილეობდნენ თბილისის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩემპიონატებში, მართავდნენ საჩვენებელ შეხვედრებს, რაც ხელს უწყობდა კალათბურთის პოპულარიზაციას ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში — ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, თელავში და სხვ.

1934 წელს შეადგინეს სსრ კავშირის სიმბოლური ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ლ. ფალავანდიშვილი, რ. მდივანი და ვ. ციციშვილი.

1936 წელს უნივერსიტეტის გუნდი მონაწილეობდა სსრ კავშირის კალათბურთის უმაღლეს ლიგაში. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ო. და გ. ავალიშვილები, თ. ჩუბინიშვილი, ბ. აკიმოვი, გ. ჰირაძე, შ. ახვლედიანი (მწვრთნელი შ. დიასამიძე).

1938 წელს უნივერსიტეტში შევქმენით სსრ კავშირში კალათბურთის პირველი სკოლა, რომელმაც მრავალი სახელოვანი კალათბურთელი აღზარდა. 1939-41 წლებში უნივერსიტეტის უძლიერეს გუნდს ემატებიან ამ სკოლის აღზრდილები: გ. ყიფიანი, ნ. ჭორჭიკია, მ. კეკელიძე და სხვ.

1941 წელს საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ უნივერსიტეტის აღსაზრდელები გ. ავალიშვილი, შ. ახვლედიანი, ნ. ჭორჭიკია, გ. ყიფიანი.

**შ. დიასამიძე,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



●

1933 წლის 8 ნოემბერს გაიმართა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავისადმი მიძღვნილი ფიზკულტურელთა საქალაქო აღლუმი.

წარმატებით გამოვიდნენ უნივერსიტეტის ფიზკულტურელები, რომლებმაც უჩვენეს ფიზკულტურული ტექნიკის დაუფლების ბრწყინვალე ნიმუში და სამართლიანად დაიმსახურეს გარდამავალი დროშა.

სურათზე: უნივერსიტეტის ფეხბურთელთა და პარაშუტისტთა კოლონა აღლუმის წინ. სურათი გადაღებულია რუსთაველის პროსპექტზე, მომავალი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის წინ.

●



●

სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ტანვარჯიში, ჭადრაკი, მთამსვლელობა, ფრენბურთი, ჩოგბურთი — აი, ამ სახეობების წრეებში მეცადინეობდნენ სახელოვანი მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები: გ. ნიკოლაძე, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, ნ. კეცხოველი, გ. ახვლედიანი, გ. შალამბერიძე, კ. ბაქრაძე, შ. ნუცუბიძე, ი. ვეკუა, პ. გუგუშვილი, მ. მირიანაშვილი, ი. მიქელაძე, პ. ბერაძე, ა. დიდებულიძე, მ. ზანდუკელი, დ. დოლიძე, ი. ბაჯაძე და სხვ.

1938 წელს კ. ბაქრაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ფრენბურთელთა წრე. სულ მოკლე დროში გუნდი შეჯიბრებებშიც კი მონაწილეობდა.

ეს ფოტოსურათი თელავშია გადაღებული ფრენბურთში უნივერსიტეტისა და თელავის პედინსტიტუტის მასწავლებელთა გუნდების შეხვედრის წინ. მასპინძლები ყვავილების თაიგულს გადასცემენ უნივერსიტეტელთა კაპიტანს პროფესორ კ. ბაქრაძეს.

●

## ციფრები და ფაქტები

*1923 წელს ჩამოყალიბდა ფიზკულტურის განყოფილება (კათედრა), რომლის პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა ვ. ვერულაშვილი.*

●

*„.... ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზკულტურულ დარგში მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისთვის ბრძოლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჯერ კიდევ 8 ნოემბერს ფიზკულტურელთა აღლუმზე უნივერსიტეტმა პირველობის დროშა მიიღო. უნივერსიტეტი ამ საპატიო დროშის მიღების შემდეგ რაზმავს სტუდენტთა ლაშქარს ფიზკულტურის დარგში ახალ-ახალი მიღწევების მოსაპოვებლად.*

*20 ნოემბერს წინასწარი სამზადისის შემდეგ გაიხსნა სასპორტო დარბაზი. დარბაზის გახსნას მიეძღვნა სპეციალური საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო მრავალი მაყურებელი.*

*დღეს დარბაზს სხვა იერი აქვს. იგი სპეციალურად არის შეკეთებული. სავარჯიშო იარაღების რაოდენობა მომარაგებულია. ფიზკულტურელები ემზადებიან, რომ გვიჩვენონ თავიანთი მიღწევები.*

*სიტყვებში გამოსული ამხანაგები გვპირდებიან, რომ მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებენ ფიზკულტურულ მუშაობას. დაეუფლებიან ფიზკულტურის ტექნიკის უმაღლეს მწვერვალებს, აღზრდიან ჯანსაღ სტუდენტობას, მიაღწევენ იმას, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა მთელმა ლაშქარმა დაიმშვენოს მკერდი ნიშნით „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის".*

*მისალმების შემდეგ ახალგახსნილ დარბაზში ტ. ს. უ და სატყეო ინსტიტუტის ფრენბურთის ძლიერ გუნდებს შორის ჩატარდა შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა ტ.ს.უ-ს გამარჯვებით ანგარიშით 2:0.*

*შეჯიბრების შემდეგ მაღალხარისხოვანი პროგრამით გამოვიდნენ ძლიერი მოვარჯიშეები სხვადასხვა იარაღებზე.*

*უნივერსიტეტი იმგვარად დააყენებს მუშაობას ფიზკულტურის დარგში, რომ არავის დაუთმოს 8 ნოემბრის ფიზკულტურულ აღლუმზე მიღებული პირველობის დროშა".*

*„კომუნისტი", № 271, 26 ნოემბერი, 1933 წ.*

●

*1933 წელს შეიქმნა ალპინისტთა ათასეული, რომლის ინიციატორები იყვნენ ვ. ვერულაშვილი და ო. გიგინეიშვილი.*

●

*1941 წლის 22 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა ანგარიშით 41:30 დაამარცხა სტუმრები — სსრ კავშირის 1940 წლის ჩემპიონები, ლენინგრადის „ბურევესტნიკის" კალათბურთელები. იმავე წელს ლენინგრადში გამართულ 8 ქალაქის კალათბურთელთა ტურნირში თბილისის ნაკრებმა, რომლის ძირითად ბირთვს უნივერსიტეტის სპორტსმენები წარმოადგენდნენ, II საპრიზო ადგილი დაიკავა. თბილისის ნაკრების ღირსებას უნივერსიტეტიდან იცავდნენ გ. ავალიშვილი, შ. ახვლედიანი, გ. ყიფიანი, ნ. ჯორჯიკია...*



ფეხბურთი -68

## სსრ კავშირის პირველობა

# ერიდეთ აუტსაიდერს!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 17 ოქტომბერი.
„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (1:0).
„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე (ჭოლაძე), ასიტაშვილი, ნაჭყებია, ზარია, ჭითანავა (გადელია), ვეკუა, ხერხაძე.
„დინამო": ბალიასნიკოვი, შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მახლოვი, ანიჩკინი, სმირნოვი, სიომინი, კოზლოვი (ვოტოლოვსკი), ევრიუჟიხინი (დუდკო), ლარინი.
მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).
დუბლიორები — 3:1 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

ქუთაისის ტორპედოელებს ტრადიციად აქვთ კარგად ითამაშონ მოსკოვის „დინამოსთან". ამას მათი საკავშირო ჩემპიონატებში ნათამაშევ შეხვედრათა სტატისტიკაც ცხადად მეტყველებს. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, თუმცა ამ მატჩში ორივე გუნდი განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე იმყოფებოდა. მოსკოველები, რომლებიც ერთხანს აუტსაიდერებიც კი იყვნენ, უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ ამპლუას და ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან. გუნდი აშკარა აღმავლობის გზაზეა და არც აპირებს დაკარგოს მონაპოვარი. მაგრამ კიდევ უფრო რთულ სატურნირო მდგომარეობაში იმყოფება ქუთაისის „ტორპედო". იგი ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფება და მდგომარეობის საბოლოოდ განმტკიცებისთვის კვლავ და კვლავ ესაჭიროება ქულები.

მატჩის პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ ტორპედოელებს მეტი სტიმული ჰქონდათ გამარჯვებისთვის. ჯერ კიდევ მეოთხე წუთი იყო, როდესაც ბალიასნიკოვმა კარი იხსნა ვეკუას დარტყმისგან. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ხერხაძე-ზარია-ჭითანავას კომბინაცია დამთავრდა მეორე გამოუყენებელი მომენტით. მე-16 წუთზე მოსკოველთა კარი იხსნა ძელმა (ხერხაძის დარტყმის შემდეგ).

ასე, მასპინძელთა განუწყვეტელ იერიშებში მიმდინარეობდა ტაიმი და მათ მაინც შეძლეს მოწინააღმდეგის კარის აღება. 22-ე წუთზე ზარიას უძლიერესი დარტყმა მოიგერია ბალიასნიკოვმა. ამ ბურთს მიუსწრო ვეკუამ და ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

მეკარე კოტრიკაძეს მხოლოდ ტაიმის დასასრულს მოუხდა თამაშში ჩარევა. შესვენების შემდეგ სახიფათო მომენტები ისევ დინამოელთა კართან იქმნებოდა. 52-ე წუთზე ჭითანავამ კიდევ ერთი ხელსაყრელი შესაძლებლობა დაკარგა, ხოლო მალე ხერხაძემ კვლავ ძელს მოახვედრა ბურთი.

მოსკოველებმა მხოლოდ ბოლო 10-15 წუთის მანძილზე შეძლეს კონტრთამაშის შექმნა. მათ მთელი ძალები წინ გადაისროლეს და ტორპედოელებს თავდამსხმელთა უკან დახევაც კი დაჭირდათ მდგომარეობის [illegible]. ქუთაისელთა გუნდმა [illegible] მთელი მონდომებით [illegible] შესანარჩუნებლად და შეინარჩუნა კიდეც ეს უკიდურესად საჭირო 2 ქულა.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

### „ა" კლასი I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი
### ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 33 | 20 | 11 | 2 | 53—21 | 51 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 33 | 18 | 8 | 7 | 53—36 | 44 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 32 | 16 | 11 | 5 | 50—24 | 43 |
| ცსკა | 33 | 17 | 9 | 7 | 42—28 | 43 |
| „დინამო" (თბილისი) | 33 | 14 | 10 | 9 | 42—24 | 38 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 33 | 15 | 8 | 10 | 46—30 | 38 |
| „დინამო" (მინსკი) | 31 | 14 | 9 | 8 | 37—28 | 37 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 32 | 10 | 14 | 8 | 43—39 | 34 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 32 | 10 | 13 | 9 | 31—33 | 33 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 34 | 10 | 12 | 12 | 22—35 | 32 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 33 | 9 | 13 | 11 | 31—43 | 31 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 33 | 10 | 10 | 13 | 34—43 | 30 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 32 | 9 | 11 | 12 | 32—32 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 33 | 9 | 10 | 14 | 37—42 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 33 | 9 | 9 | 15 | 21—34 | 27 |
| „არარატი" (ერევანი) | 33 | 10 | 6 | 17 | 30—42 | 26 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 34 | 8 | 9 | 17 | 26—40 | 25 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 33 | 8 | 8 | 17 | 22—37 | 24 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 33 | 8 | 8 | 17 | 35—54 | 24 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 33 | 5 | 9 | 19 | 20—42 | 19 |

## გუშინ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე, საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის „დინამოს" თანაკლუბელთა გუნდები.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:2.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მინსკელებმა ანგარიშით 2:1.

### „ა" კლასი I ჯგუფი

17 ოქტომბერს დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, 33-ე ტურის მატჩები.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ კიევის „დინამომ", რომელმაც ფრედ ითამაშა მოსკოვში „ტორპედოსთან" — 1:1. ანგარიში გახსნა მოსკოველმა მიხაილოვმა, გოლი გაქვითა პუზაჩმა.

ცსკა-მ როსტოვში მოუგო ადგილობრივ არმიელებს პლახეტკოს მიერ ერთადერთი გატანილი გოლის წყალობით. „კრილია სოვეტოვმა" ასეთივე ანგარიშით საკუთარ მინდორზე დაამარცხა „ჩერნომორეცი" (გოლის ავტორია კაზაკოვი).

ლენინგრადის „ზენიტი" დიდი ანგარიშით დამარცხდა ერევანში, „არარატთან". აქ გოლები გაიტანეს კოვალენკომ, ოვივიანმა და ზანაზანიანმა.

გუშინ შედგა კიდევ რამდენიმე შეხვედრა:
„ნეფტჩი" — „კაირატი" 2:1
„სპარტაკი" — „ზარია" 1:1
„დინამო" (კიროვაბადი) — „პახტაკორი" 1:4.

### „ა" კლასი II ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 35 | 21 | 10 | 4 | 51—17 | 52 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 35 | 16 | 15 | 4 | 28—13 | 47 |
| „ვოლგა" (გორკი) | 35 | 17 | 10 | 8 | 50—25 | 44 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 35 | 17 | 9 | 9 | 46—26 | 43 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 33 | 17 | 8 | 8 | 47—26 | 42 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 34 | 12 | 14 | 8 | 36—27 | 38 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 36 | 12 | 13 | 11 | 31—34 | 37 |
| „დინამო" (ბათუმი) | 35 | 12 | 12 | 11 | 37—31 | 36 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 36 | 10 | 15 | 11 | 26—33 | 35 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 34 | 11 | 12 | 11 | 35—31 | 34 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 34 | 13 | 8 | 13 | 29—36 | 34 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 36 | 12 | 9 | 15 | 42—42 | 33 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 35 | 11 | 10 | 14 | 29—36 | 32 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 35 | 9 | 13 | 13 | 29—32 | 31 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 36 | 12 | 7 | 17 | 38—55 | 31 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 34 | 9 | 12 | 13 | 38—34 | 30 |
| „სტროიტელი" (უფა) | 35 | 10 | 10 | 15 | 35—46 | 30 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 35 | 5 | 17 | 13 | 27—40 | 27 |
| „თერგი" (გროზნო) | 34 | 7 | 12 | 15 | 39—47 | 26 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 34 | 6 | 14 | 14 | 24—50 | 26 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 34 | 6 | 10 | 18 | 22—49 | 23 |

### „ბ" კლასი

გაიმართა მორიგი შეხვედრები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში. მოგვყავს ამ მატჩების ტექნიკური შედეგები:

III ზონა. „არაზი" (ნახიჭევანი) — „ტრუდი" (ენგელსი) 1:2, „დაშკინი" (ზაქათალა) — „ხიმიკი" (ბელაკოვო) 0:4, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 2:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 3:0, „ტორპედო" (არმავირი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 0:2, „უროჟაი" (მაიკოპი) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 1:0, „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) — „ურალანი" (ელისტა) 1:0.

IV ზონა. „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ენგური" (ზუგდიდი) 0:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 3:0, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „ნარზანი" (კისლოვოდსკი) 1:3, „არაქსი" (ეჩმიაძინი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 4:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ტრუდი" (კასპიისკი) 2:0, „უროჟაი" (გროზნო) — „უროჟაი" (დერბენტი) 2:1, „ირისთონი" (მოზდოკი) — „კახეთი" (თელავი) 2:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:1.

## გათამაშების ცხრილები
მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 38 | 25 | 6 | 7 | 59—20 | 56 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 39 | 22 | 10 | 7 | 66—22 | 54 |
| „ხიმიკი" (ბელაკოვო) | 39 | 20 | 14 | 5 | 48—17 | 54 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 39 | 22 | 10 | 7 | 48—35 | 54 |
| „დილა" (გორი) | 38 | 20 | 9 | 9 | 70—28 | 49 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 39 | 19 | 9 | 11 | 46—29 | 47 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 39 | 14 | 12 | 13 | 31—41 | 40 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 36 | 15 | 9 | 12 | 49—33 | 39 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 37 | 13 | 13 | 11 | 40—33 | 39 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 38 | 14 | 10 | 14 | 39—33 | 38 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 38 | 13 | 12 | 13 | 35—34 | 38 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 39 | 14 | 9 | 16 | 51—40 | 37 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 39 | 12 | 11 | 16 | 36—42 | 35 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 37 | 9 | 15 | 13 | 20—45 | 33 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 38 | 12 | 8 | 18 | 39—46 | 32 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 37 | 11 | 10 | 16 | 33—44 | 32 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 38 | 10 | 11 | 17 | 27—54 | 31 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 39 | 8 | 14 | 17 | 31—54 | 30 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 38 | 8 | 12 | 18 | 25—49 | 28 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 39 | 5 | 10 | 24 | 23—68 | 20 |
| „ურალანი" (ელისტა) | 38 | 5 | 8 | 25 | 27—69 | 18 |

### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 38 | 22 | 6 | 10 | 68—37 | 50 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 39 | 21 | 8 | 10 | 58—29 | 50 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 40 | 21 | 7 | 12 | 44—40 | 49 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 38 | 18 | 12 | 8 | 39—38 | 48 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 38 | 18 | 11 | 9 | 51—29 | 47 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 38 | 19 | 8 | 11 | 52—31 | 46 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 38 | 20 | 5 | 13 | 47—35 | 45 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 38 | 15 | 13 | 10 | 47—32 | 43 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 39 | 15 | 12 | 12 | 48—42 | 42 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 39 | 14 | 14 | 11 | 51—52 | 42 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 37 | 15 | 11 | 11 | 45—32 | 41 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 38 | 15 | 8 | 15 | 38—43 | 38 |
| „დინამო" (სოხუმი) | 39 | 14 | 8 | 17 | 56—53 | 36 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 39 | 11 | 14 | 14 | 32—38 | 36 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 39 | 13 | 9 | 17 | 40—46 | 35 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 38 | 12 | 10 | 16 | 37—41 | 34 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 39 | 14 | 6 | 19 | 41—47 | 34 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 39 | 8 | 10 | 21 | 38—58 | 26 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 38 | 6 | 13 | 19 | 28—52 | 25 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 38 | 8 | 5 | 25 | 24—70 | 21 |
| „კახეთი" (თელავი) | 37 | 5 | 8 | 24 | 30—58 | 18 |

## საქართველოს პირველობა

ჩატარდა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 5:1, „არაგვი" (მცხეთა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:4, „აერო" (გალი) — „ისანი" (თბილისი) 0:1, „ლაითური" (მახარაძე) — ასკ (თბილისი) 1:0, „ფეიქარი" (წულუკიძე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1, „სამცხე" (აწყური) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 2:0, „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:0, „სპარტაკი" (ბორჯომი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 0:1, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:2.

### I ჯგუფი, II ქვეჯგუფი.

I ზონა. „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 8:1, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0. თბილისის „ელმავალმშენს" დამარცხება ჩაეთვალა რუსთავის „მეტალურგთან", ხოლო წითელწყაროს „შირაქს" — ახალქალაქის „აბულთან".

II ზონა. „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „დინამო" (ოჩამჩირე) 3:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:1, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 5:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1.

## გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფის I ქვეჯგუფი
მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 34 | 19 | 10 | 5 | 62—27 | 48 |
| ასკ (თბილისი) | 34 | 19 | 9 | 6 | 57—22 | 47 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 34 | 15 | 14 | 5 | 48—24 | 44 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 32 | 15 | 12 | 5 | 49—28 | 42 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 35 | 15 | 11 | 9 | 51—47 | 41 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 35 | 15 | 10 | 10 | 44—40 | 40 |
| „სინათლე" (თბილისი) | 29 | 16 | 7 | 6 | 39—21 | 39 |
| „სულორი" (ვანი) | 34 | 15 | 8 | 11 | 39—29 | 38 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 35 | 13 | 12 | 10 | 44—35 | 38 |
| „აერო" (გალი) | 35 | 12 | 12 | 11 | 38—37 | 36 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 34 | 11 | 12 | 11 | 50—36 | 34 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 34 | 12 | 8 | 15 | 48—54 | 32 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 35 | 11 | 7 | 17 | 34—52 | 29 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 33 | 10 | 9 | 14 | 30—49 | 29 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 34 | 8 | 12 | 14 | 30—43 | 28 |
| „ისანი" (თბილისი) | 33 | 9 | 8 | 16 | 26—39 | 26 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 31 | 9 | 7 | 15 | 33—47 | 25 |
| „სამცხე" (აწყური) | 30 | 7 | 10 | 13 | 33—36 | 24 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 33 | 7 | 10 | 16 | 22—40 | 24 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 30 | 8 | 7 | 15 | 29—50 | 23 |

# 10 ტურის შემდეგ

აშხაბადი, 17 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა 28-ე საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური.

IX ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ნ. ალექსანდრიას შეხვედრამ თ. ბელოვასთან. ქართველმა მოჭადრაკემ შავებით შუა თამაშში საგრძნობ უპირატესობას მიაღწია, შემდეგ კარგად გამოიყენა მეტოქის უხეირო სვლა და გაიმარჯვა. ო. კაცკოვამ კარგად გამოიყენა მ. სანაძის ფიგურების არასახარბიელო განლაგება და შეუტია. მატერიალური ზარალი გარდუვალი აღმოჩნდა და სანაძე დანებდა. ი. გურფინკელმა დაამარცხა ნ. რუსინკევიჩი. ლ. სტარჩენკომ — ლ. რუდენკო. ყაიმით დამთავრდა ნ. მედიანიკოვა — ვ. ბორისენკოსა და ნ. კონოპლიოვა — მ. შულის შეხვედრები. დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში ა. ჩაიკოვსკაია და ტ. ზატულოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ. სხვა პარტიები გადაიდო.

X ტურში სანაძემ მოუგო სტარჩენკოს, ჩაიკოვსკაიამ — რუსინკევიჩს, რანიკუმ — ბელოვას. კაცკოვა — კონოპლიოვასა და სკეგინა — მედიანიკოვას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

**გუშინ** მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. შეჯიბრების ლიდერმა ბილუნოვამ მოუგო ესტერკინას, მაგრამ წააგო ალექსანდრიასთან და რანიკუსთან. ალექსანდრია დამარცხდა შულთან, ბორისენკომ მოუგო გურფინკელს. ზვორიკინამ ხძლია რუდენკოს და ყაიმზე შეუთანხმდა სკეგინას. 10 ტურის შემდეგ ალექსანდრიას და ბილუნოვას 7,5-7,5 ქულა აქვთ, რანიკუსა და ბორისენკოს — 7-7. XI ტურში ალექსანდრია რანიკუს ეთამაშება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 . საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 18( უდ 04277